



ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

დადგენილება №9

2014 წლის 30 აპრილი

ქ. ლანჩხუთი

„ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიული ორგანოს რწმუნებულთა მიერ აქტის შედგენის, ცნობის გაცემისა და ბეჭდის გამოყენების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 8 ნოემბრის N30 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის შესაბამისად,

**მუხლი 1.** „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიული ორგანოს რწმუნებულთა მიერ აქტის შედგენის, ცნობის გაცემისა და ბეჭდის გამოყენების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 8 ნოემბრის N30 დადგენილებაში (სსმ, ვებგვერდი, 111114011, 16/11/2011) შევიდეს ცვლილება კერძოდ, დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-13 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. ხე-მცენარეების ადგილწარმოშობის ცნობა გაიცემა „საქართველოს ტერიტორიაზე ხე-ტყის მოძრაობის წესებისა და მრგვალი ხე-ტყის (მორის) პირველადი გადამუშავების ობიექტის (სახერხი საამქროს) ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 10 იანვრის N46 დადგენილების შესაბამისად.“

**მუხლი 2.** დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე



ამირან გიგინეიშვილი